საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

04 სექ 2025 წ.

KA000007019712425

№ **25/7020**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ გელა გელაძეს

წინადადება

დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთან ადვოკატის დაშვების წესის შეცვლის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გელა,

ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადვოკატების არასამუშაო საათებში შესვლის საკითხი და შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთან საღამოს საათებში ადვოკატის შეხვედრის შეზღუდვა განაპირობა 2025 წლის 11 აპრილს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში[1] განხორციელებულმა ცვლილებამ.[2]

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი კვლავინდებურად ითვალისწინებს იზოლატორში მოთავსებული პირის უფლებას ადვოკატზე, რაც მოიცავს ადვოკატთან დაკავშირებისა და ადვოკატის მიერ პირის მონახულების უფლებას. ადვოკატის მიერ შესაბამისი დოკუმენტის (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და შესაბამისი ორდერი) წარდგენის შემთხვევაში, იზოლატორში მოთავსებულ პირს უფლება აქვს, შინაგანაწესით დადგენილი წესით, პირისპირ შეხვდეს მას ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე, საგამოძიებო ოთახში, სხვა პირის დაუსწრებლად, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის განუსაზღვრელად.[3]

მოთავსებული პირის საკნიდან გაყვანა 22:00 საათიდან 06:00 საათამდე შესაძლებელია: ადვოკატთან შეხვედრისას, გარდა ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; იზოლატორიდან გათავისუფლებისას; გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად; გადაუდებელი საგამოძიებო ან/და საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად; საგანგებო შემთხვევის დროს ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, იზოლატორის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.[4] იზოლატორის უფლებამოსილი მოსამსახურე ვალდებულია 06:00 საათიდან 22:00 საათამდე, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას – ნებისმიერ დროს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და ადვოკატის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს მოთავსებული პირის საკნიდან გაყვანა საგამოძიებო ოთახში საგამოძიებო ან/და საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობისათვის, გარდა ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.[5] რაც შეეხება ხსენებულ ნორმას, **ადვოკატთან შეხვედრის მიზნით ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირის საკნიდან გაყვანა შესაძლებელია 10:00 საათიდან**

19:00 საათამდე. საგულისხმოა, რომ 2025 წლის 11 აპრილის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მოთავსებული პირის საკნიდან გაყვანა 22:00 საათიდან 06:00 საათამდე შესაძლებელი იყო ადვოკატთან შეხვედრისას.[6]

სამართლებრივი დასაბუთება

სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური გარანტია - დაცვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციითა[7] **და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით[8],** უზრუნველყოფილია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გარანტიას დაცვის უფლება წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციით, დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება გარანტირებულია კანონით.[9]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად; დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.[10]

ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება მოქმედებს სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას.[11] ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ცნებას აქვს ავტონომიური მნიშვნელობა[12] და მხედველობაში მიიღება „ბრალდების“ „არსთან დაკავშირებული“ და არა „ფორმალური“ კონცეფცია.[13] შეფასებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმებია: კვალიფიკაცია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, სამართალდარღვევის ხასიათი და გამოსაყენებელი სანქციის სიმკაცრე.[14] ევროპული სასამართლო სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდებად განიხილავს და კონვენციის მე-6 მუხლის გარანტიებს იყენებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლისთვისაც სანქციის სახედ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.[15]

ბრალდებულის უფლება ადვოკატზე სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დანარჩენი გარანტიების ეფექტიანობას უზრუნველყოფს.[16] ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილი „შესაძლებლობები“ ასევე მოიაზრებს ადვოკატთან წინასწარ კონსულტაციას.[17] ბრალდებულისთვის მიცემული დროისა და საშუალებების ადეკვატურობის საკითხი უნდა შეფასდეს თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.[18]

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „c” ქვეპუნქტი ბრალდებულს ანიჭებს ზოგად უფლებას, მიიღოს ადვოკატის იურიდიული მომსახურება და მხარდაჭერა მთელი სამართალწარმოების განმავლობაში.[19] ხსენებული ნორმა არ აკონკრეტებს ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების წესს ან მის შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ იგი სახელმწიფოს უტოვებს არჩევანის უფლებას, თუ როგორ უზრუნველყოს მისი დაცვა საკუთარ სასამართლო სისტემაში, ამ უფლების ფარგლები და შინაარსი უნდა განისაზღვროს კონვენციის მიზნის - პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებების გარანტირების შესაბამისად.[20]

საგულისხმოა, რომ იურიდიულ კონსულტაციაზე წვდომის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, დროებით და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. შეზღუდვის მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება იყოს კონკრეტულ შემთხვევაში სიცოცხლის, თავისუფლების ან ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის სერიოზული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის დამაჯერებელი არგუმენტებით ჩვენება, რა დროსაც ხელისუფლებას ეკისრება გადაუდებელი ვალდებულება დაიცვას პოტენციური ან ფაქტობრივი მსხვერპლის უფლებები, განსაკუთრებით კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.[21]

ევროპული სასამართლო ადვოკატის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან თავსებადობის შემოწმებისას თავდაპირველად აფასებს შეზღუდვის მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობას და შემდეგ - გავლენას, რომელსაც შეზღუდვა აყენებს მთლიანი პროცესის სამართლიანობას.[22] ასეთი მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც, საჭიროა მთლიანი პროცესის სამართლიანობის კომპლექსური შეფასება; ხოლო სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის მნიშვნელოვანი საფუძვლების არარსებობისას - სამართალწარმოების სამართლიანობა ძალიან მკაცრად ფასდება. სახელმწიფო ვალდებულია დამაჯერებლად წარმოაჩინოს, თუ რატომ არ დარღვეულა პროცესის სამართლიანობა ადვოკატის დახმარების შეზღუდვით საქმის კონკრეტულ გარემოებებში.[23]

გასათვალისწინებელია დაცვის უფლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი - ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს კომუნიკაცია ადვოკატთან მესამე მხარის მიერ მოსმენის გარეშე, დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს ძირითადი მოთხოვნაა.[24] ამასთან, არ გამოირიცხება პატიმრისა და ადვოკატის შეხვედრებისთვის დროისა და ადგილის შეზღუდვების არსებობა. სახელმწიფოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია შეზღუდოს ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება. თუმცა დასაცავი პირისა და ადვოკატის ურთიერთობაზე ნებისმიერი შეზღუდვის დაწესება, არ უნდა აბრკოლებდეს ეფექტიანი იურიდიული დახმარების გაწევას. შესაძლო სირთულეების ან შეზღუდვების

მიუხედავად, დაცვის უფლებებს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ეფექტური იურიდიული დახმარების უფლება ყველა გარემოებაში უნდა იყოს დაცული.[25]

თუ ადვოკატს არ აქვს თავის კლიენტთან კონფიდენციალური გასაუბრებისა და მისგან ინსტრუქციების მიღების საშუალება ისე, რომ თვალთვალს და მიყურადებას არ დაექვემდებაროს, მისი დახმარება არ იქნება ეფექტიანი.[26] საგამონაკლისო გარემოება უნდა ეფუძნებოდეს სათანადო მიზეზს, მაგრამ ამგვარი შეზღუდვით არ უნდა შეილახოს ბრალდებულის უფლება სამართლიან განხილვაზე.[27] ამგვარი შეზღუდვის სამართალწარმოების სამართლიანობაზე გავლენის საკითხის განხილვისას ყურადღება მახვილდება შეზღუდვის გამოყენების ხანგრძლივობასა[28] და რამდენად იქნა გამოყენებული ბრალდებულის განცხადებები [ადვოკატთან კონფიდენციალური საუბრის არქონის პირობებში გაკეთებული][29].

იგივე წესები მოქმედებს ადვოკატთან წერილობით კომუნიკაციაზეც - პატიმრისა და ადვოკატის კორესპონდენცია ყოველთვის პრივილეგირებულია და კონფიდენციალურობის ზოგადი პრინციპისგან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, გონივრული/სათანადო საფუძვლის არსებობისას, რომ ადვოკატთან კომუნიკაციის პრივილეგია ბოროტად გამოიყენება, რადგან წერილის შინაარსი საფრთხეს უქმნის ცხის ან სხვების უსაფრთხოებას ან სხვაგვარად არის კრიმინალური ხასიათის.[30] ნებისმიერი ჩარევა პრივილეგირებულ მასალაში, და, ამგვარი მასალის გამოყენება სამართალწარმოებაში ბრალდებულის წინააღმდეგ, უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, გამართლებული გადაუდებელი საჭიროებით/აუცილებლობით და ყოველთვის ექვემდებარება უმკაცრეს შემოწმებას.[31]

სასამართლო პროცესის მომზადებისთვის გაუმართლებლად შეფასდა ადვოკატების ვიზიტების რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეზღუდვა (კვირაში ორი 1-საათიანი შეხვედრა) კუნძულზე მდებარე ციხეში განთავსებულ ბრალდებულთან, რომლისთვის წაყენებული ბრალდებები უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის (სავარაუდო ლიდერი) უამრავ ძალადობრივ აქტს მოიცავდა. ხსენებული ბრალდებების გათვალისწინებით საქმის მასალები მოცულობითი იყო და საქმის სირთულის შესაბამისად, დაცვის მოსამზადებლად მას ესაჭიროებოდა კვალიფიციური იურიდიული დახმარება. ამასთან, საქმის განსაკუთრებული გარემოებები არ ამართლებდა ამგვარ შეზღუდვას.[32] კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 („ც“) პუნქტების დარღვევა დადგინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცესში, რადგან მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვდა უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას, ხოლო განმცხადებელს არ შეეძლო იურიდიული დახმარებით სარგებლობა, მათ შორის, არ მიუღია იურიდიული კონსულტაცია ან დახმარება/წარმომადგენლობა სასამართლო სხდომამდე ან სააპელაციო საჩივრის შედგენის მიზნით.[33]

გაეროს წესებით, ყველა ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება მისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისათვის; ყველა დაპატიმრებული, დაკავებული ან საპყრობილეში მყოფი პირი უზრუნველყოფილ უნდა იქნას სათანადო შესაძლებლობით, დროითა და პირობებით თავის ადვოკატთან შეხვედრის, მასთან კომუნიკაციისა და კონსულტაციისათვის, დაყოვნების, შეჩერებისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ასეთ კონსულტაციებს შეიძლება თვალყური ადევნოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა, მაგრამ მას მოსმენის უფლება არ აქვს; კლიენტის წინაშე ადვოკატთა მოვალეობაა: დაეხმაროს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღოს ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად; დაეხმაროს კლიენტს სასამართლოს, ტრიბუნალისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.[34]

ევროპის საბჭოს მინიტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, ადვოკატებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათ კლიენტებზე, განსაკუთრებით იმ პირებზე, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის პირობებში იმყოფებიან, რათა შესაძლებლობა მიეცეთ გაუწიონ პრივატული კონსულტაცია და წარმოადგინონ კლიენტები დადგენილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად; მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პატივისცემა. ამ პრინციპის გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონის უზენაესობის პრინციპებს შეესაბამება; კლიენტის წინაშე ადვოკატის ვალდებულებები უნდა მოიცავდეს: სამართლებრივი ქმედებების განხორციელებას მათი კლიენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვის, პატივისცემისა და რეალიზაციის მიზნით; მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა პირის მიერ დამოუკიდებელი ადვოკატების მიერ განეული იურიდიული მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა.[35]

საქართველოს კანონმდებლობით, ადვოკატს უფლება აქვს: დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა.[36] კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისგან.[37] ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩაწერა დაუშვებელია.[38] ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით.[39]

გასაჩივრების უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის, არამედ ზემდგომ ინსტანციებში საჩივრის შეტანის უფლებასაც.[40]

ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოების ქონას და არ იძლევა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრების უფლებას, თუმცა, თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას, სააპელაციო წარმოება ჩაითვლება სასამართლო პროცესის გაგრძელებად და

დაცული უნდა იყოს მე-6 მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტური გარანტიები.[41] სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოებთან მიმართებით მე-6 მუხლის გამოყენების წესი დამოკიდებულია შესაბამისი სამართალწარმოების განსაკუთრებულ მახასიათებლებზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთლიანი სასამართლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ეროვნული კანონმდებლობის დაცვით, და ამ პროცესში სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოების როლი.[42]

მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება სამართლის საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებზე, როდესაც ასეთი სასამართლო პროცესი წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის წარმოების შემდგომ ეტაპს და მის შედეგს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს განაჩენსა და სასჯელზე. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლებს არ შეიძლება ჩამოერთვათ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიებით სარგებლობა იმ საფუძვლით, რომ მათი სააპელაციო საჩივრის მიზნებისთვის, ისინი ეროვნული კანონმდებლობით ითვლებოდნენ მსჯავრდებულებად და არა ბრალდებულებად.[43] სხვა საქმეში, არ დადგინდა დარღვევა სააპელაციო წარმოებისას დაცვის მოსამზადებლად დროისა და საშუალების გათვალისწინებით, რადგან საჩივარში დეტალურად გაანალიზდა საქმის მასალები, სააპელაციო სასამართლოში განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ორი ადვოკატით, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ საკმარისი დრო ჰქონდათ საქმის მასალების შესასწავლად და რომ მომჩივანი არ იყო შეზღუდული ადვოკატებთან მისი შეხვედრების რაოდენობითა და ხანგრძლივობით.[44]

გამამტყუნებელი განაჩენისა და სასჯელის გასაჩივრების უფლება განმტკიცებულია ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლში, რომელიც ავსებს კონვენციაში მოცემულ [სამართლიანი სასამართლო პროცესის] გარანტიებს:[45] *„ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გაასამართლა უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, ან მსჯავრი დაედო მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.“*[46].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული „სისხლის სამართლის დანაშაულის“ ცნება შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში „სისხლის სამართლის ბრალდების“ კონცეფციას. შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მე-6 მუხლი გამოიყენება მოცემულ სამართალწარმოებაზე, გამოიყენება მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლიც.[47] მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის გამოყენებისა და „სისხლის სამართლის დანაშაულის“ კონცეფციის ინტერპრეტაციისთვის, სასამართლომ გამოიყენა Engel-ის საქმეში[48] ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმები (დანაშაულის კლასიფიკაცია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულის ხასიათი და გამოსაყენებელი სასჯელის სიმკაცრე).[49]

სახელმწიფოს პოზიციის (ადმინისტრაციული და სისხლის სამართალდარღვევები განსხვავდებოდა, სამართალდამრღვევი არ ითვლებოდა „მსჯავრდებულად“, ხოლო 15-დღიანი პატიმრობა არ იყო სასჯელი) საწინააღმდეგოდ, სანქციის სიმკაცრის გამო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე სისხლის სამართლის ხასიათის იყო და გამოიყენებოდა კონვენციის მე-6 მუხლის და, შესაბამისად, მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის გარანტიები.[50] ანალოგიურად, გამონაკლის შემთხვევასთან - მცირე მნიშვნელობის დანაშაულთან მიმართებით, ევროპული სასამართლოს პოზიციით, მნიშვნელოვანი კრიტერიუმია: ისჯება თუ არა დანაშაული თავისუფლების აღკვეთით და ეროვნულ კანონმდებლობაში კვალიფიკაციას მხოლოდ ფარდობითი მნიშვნელობა აქვს.[51] შესაბამისად, სასამართლომ სახელმწიფოების კანონმდებლობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული 15-დღიანი პატიმრობა საკმარისად მკაცრად მიიჩნია და არ შეაფასა როგორც „მსუბუქი და მცირე ხასიათის“ მქონე, მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.[52]

სახელმწიფოები სარგებლობენ ფართო შეფასების ზღვრით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლება და შეუძლიათ დაადგინონ, გამამტყუნებელი განაჩენი ან სასჯელის გადახედვის ფარგლები მოიცავდეს როგორც ფაქტობრივ, ისევე, სამართლებრივ საკითხებს, ან შემოიფარგლოს მხოლოდ სამართლებრივი საკითხებით. ხსენებული უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ნებისმიერი შეზღუდვა, მე-6 მუხლის გარანტირებულ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ანალოგიურად, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და არ არღვევდეს ამ უფლების არსს.[53] იმ შემთხვევაში, თუ მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გადახედვის უფლება არსებობს, ის ეფექტიანი უნდა იყოს[54] და სამართლებრივი დაცვის საშუალება უნდა იყოს დამოუკიდებელი ხელისუფლების ნებისმიერი დისკრეციული ქმედებისგან და პირდაპირ ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის.[55]

ქართული კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს, რომ აქვს უფლება ადვოკატზე.[56] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატს უფლება აქვს: გაეცნოს საქმის ყველა მასალას; განაცხადოს შუამდგომლობანი; იმ პირის დავალებით, რომელმაც იგი მიიწვია, და მისივე სახელით შეიტანოს საჩივარი საქმის გამო მიღებულ დადგენილებაზე.[57] ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერით.[58] თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, პირს, თუკი იგი გადახდისუუნაროა, უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნა.[59]

ადმინისტრაციული პატიმრობა დადგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, **60 დღემდე ვადით.** პირს ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს სასამართლო.[60] ზოგადი წესით, საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე.[61] დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაჰბარდება ან გაეგზავნება იმ პირს, რომლის მიმართაც იქნა მიღებული ეს დადგენილება.[62]

ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება **გამოტანიდან 48 საათში შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს** პირმა, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, ან მისმა ადვოკატმა (კანონიერმა წარმომადგენელმა), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა ორგანომ (თანამდებობის პირმა) სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.[63] ამასთან, ადვოკატის (კანონიერი წარმომადგენლის) მიერ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის საჩივრით მიმართვა დასაშვებია მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.[64]

მხარეთა მიერ წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული დადგენილების გამოტანისას, რით გამოიხატება გასაჩივრებული დადგენილების დებულებათა მცდარობა. საჩივარში ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ, რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივარს უნდა ერთოდეს მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი (მასალები) იმ ახალ გარემოებათა შესახებ, რომლებიც უცნობი იყო რაიონული (საქალაქო) სასამართლოსათვის.[65] მხარეებს საჩივარი შეაქვთ დადგენილების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს დადგენილების აღსრულებას.[66]

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქმის მასალების მიღებიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე, წყვეტს ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს დადგენილება. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში ტარდება ზეპირი მოსმენა ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით.[67] რაც შეეხება საჩივრის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საჩივარს განიხილავს საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანიდან 48 საათში.[68]

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ პირს, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, მის ადვოკატს (კანონიერ წარმომადგენელს), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ ორგანოს (თანამდებობის პირს). სასამართლოს უფლება აქვს, გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საჩივრის გადაწყვეტისათვის, წინადადება მისცეს მხარეებს, წარმოადგინონ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი. სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას, აცხადებს, რა საჩივარი განიხილება, და ასახელებს მხარეებს. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ მხარეები, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, განმარტებანი მისცენ სასამართლოს და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი.[69] საჩივრის განხილვისას სასამართლო ამოწმებს, ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების გამოტანისას დაიცვა თუ არა რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ ამ კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნები.[70]

საჩივრის განხილვის შემდეგ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: გასაჩივრებული დადგენილების ძალაში დატოვების და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; გასაჩივრებული დადგენილების გაუქმების (შეცვლის) და საჩივრის სრულად (ნაწილობრივ) დაკმაყოფილების შესახებ.[71] საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი დადგენილების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება დადგენილების გამომტან მოსამართლეს და ამ გადაწყვეტილების აღმსრულებელ ორგანოს. დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.[72]

იდენტიფიცირებული პრობლემის ანალიზი

2025 წლის 11 აპრილამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირების (დაკავებულები სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით, ასევე, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირები) საკნიდან გამოყვანა არასამუშაო საათებში დასაშვები იყო ადვოკატთან შეხვედრის მიზნით. თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული და სისხლის სამართლის წესით დაკავებული ბრალდებულებისგან განსხვავებით, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირებისთვის განისაზღვრა ადვოკატთან შეხვედრის კონკრეტული დრო - 10:00-19:00 საათამდე პერიოდი, <u>რაიმე.გამონაკლისის გარეშე.</u>

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმის წარმოების პროცესზე ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს დაცვის უფლებითა და ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით, ხოლო ამ პროცესში, შეხვდეს და ესაუბროს ადვოკატს, გაიაროს მასთან კონსულტაცია, დასახოს დაცვის სტრატეგია, მოამზადოს არგუმენტები სააპელაციო საჩივრისთვის.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება/დადგენილება საჩივრდება მისი გამოცხადებიდან 48 საათის ვადაში. ამასთან, კანონი არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, თუ რა ვადაში, უნდა ჩაბარდეს მხარეებს ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების თაობაზე სასამართლოს დასაბუთებული დადგენილება. ზოგადი წესის თანახმად, სასამართლოს დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაჰბარდება ან გაეგზავნება იმ პირს, რომლის მიმართაც იქნა მიღებული ეს დადგენილება.[73]

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ელემენტს სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა წარმოადგენს. ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა მიუთითონ ის საფუძვლები, რომელზეც დააფუძნეს გადაწყვეტილება. დასაბუთებული გადაწყვეტილება, აგრეთვე, მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ უზრუნველყოს მხარისათვის გასაჩივრების უფლებით ეფექტიანად სარგებლობის შესაძლებლობა.[74]

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლებით ეფექტიანად სარგებლობისთვის მნიშვნელოვანია პირმა დროულად მიიღოს სასამართლოს დასაბუთებული დადგენილება, რომლის გასაჩივრებისთვის განსაზღვრული 48-საათიანი ვადა აითვლება არა დადგენილების ასლის მხარისთვის გადაცემის მომენტიდან, არამედ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან. შესაბამისად, სასამართლოს დადგენილებაში მოყვანილ დასკვნებზე არგუმენტირებული სააპელაციო საჩივრის მოსამზადებლად ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირს ესაჭიროება ადვოკატის სამართლებრივი დახმარება. მითუმეტეს, კანონით, სავალდებულოა სააპელაციო საჩივრის დასაბუთება.

გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კანონით, ადვოკატი წარადგენს სააპელაციო საჩივარს მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობით, გარდა შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვის ქონისა, როცა შეუძლებელია თანხმობის მიღება.[75] შესაბამისად, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთან ადვოკატის შეხვედრისა და სააპელაციო საჩივარზე მისგან თანხმობის დაფიქსირდება აუცილებელია საჩივრის მომზადების შემდეგაც.

ამდენად, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირის ადვოკატთან შეხვედრა მხოლოდ დღის 10:00-19:00 საათამდე პერიოდშია დასაშვები. ამასთან სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარების 3-დღიანი ვადაა განსაზღვრული, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრება მისი გამოცხადებიდან (და არა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან) 48 საათის ფარგლებით არის შეზღუდული, ხოლო ადვოკატს სააპელაციო საჩივრის წარსადგენად პირის თანხმობა ესაჭიროება. ამგვარ ვითარებაში, აუცილებელია, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთან ადვოკატის შეხვედრა არ შეიზღუდოს დროის კონკრეტული მონაკვეთით, თუ კი ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს. მაგ. პრაქტიკაში შესაძლებელია შეიქმნას სიტუაცია, როცა მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება გასაჩივრების 48-საათიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაბარდა[76] ან/და ადვოკატის მიერ უკვე მომზადებულ სააპელაციო საჩივარზე საჭირო იყოს პირის თანხმობის დაფიქსირება არასამუშაო საათებში.

საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებშიც, ადვოკატები სამუშაო საათებში შედიან პატიმრებთან შეხვედრის მიზნით. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებებში[77] ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან გარეშე პირის შესახვედრად შესვლა ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანხმობით სამუშაო დღეებში დილის 10:00 საათიდან - საღამოს 18:00 საათამდე (გარდა ხანგრძლივი პაემნის შემთხვევისა). გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ექმნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მართლმსაჯულების განხორციელებას ან სხვა სამართლებრივ სიკეთეებს, გენერალური დირექტორის თანხმობით, დაწესებულებაში ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან გარეშე პირის შესახვედრად შესვლა შესაძლებელია ზემოხსენებული დროის პერიოდის დაუცველად. ასეთ შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორი ვალდებულია, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა განხორციელებული ვიზიტის შესახებ ინფორმაცია პატაკით მიაწოდოს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას აწვდის გენერალურ დირექტორს მომდევნო სამუშაო დღეს.

ანალოგიურად, **მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირების მიერ სამართლიანი სასამართლოს გარანტიებითა და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით ეფექტიანად სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორში ადვოკატთან შეხვედრა დასაშვები იყოს არასამუშაო დროსაც.**

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, უზრუნველყოთ შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანა და განისაზღვროს: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთან ადვოკატის დაშვება შესაძლებელი იყოს 19:00 საათის შემდეგაც, მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები სახალხო დამცველს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 11 აპრილის N31 ბრძანება.

[3] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება, დანართი N2, მუხლ. 8, პუნქტ. 1-2.

[4] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება, დანართი N2, მუხლ. 7, პუნქტ. 3, ქ/პ. „ა“-„ე“.

[5] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება, დანართი N2, მუხლ. 7. პუნქტ. 4.

[6] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება, დანართი N2, მუხლ. 7, პუნქტ. 3, ქ/პ. „ა“ (2025 წლის 11 აპრილის ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია).

[7] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 31, პუნქტ. 1.

[8] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლ. 6.

[9] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 31, პუნქტ. 3.

[10] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მუხლ. 6, პუნქტ. 3, ქ/პ. „ბ“ და „ც“.

[11] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია”, მუხლ. 6.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Adolf v. Austria, განაცხადი №8269/78, 26.03.1982წ. §30; Blokhin v. Russia [GC], განაცხადი №47152/06, 23.03. 2016 წ. §179.

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Deweer v. Belgium, განაცხადი № 6903/75, 27.02.1980 წ. §44.

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Engel and others v. the Netherlands, განაცხადი №5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72, 08.06.1976 წ. §§82-83; Allen v. the UK [GC], განაცხადი № 25424/09, 12.07.2013 წ. §95.

[15] Nemtsov v. Russia, განაცხადი N1774/11, 31.07.2014 წ. §82-83; Frumkin v. Russia, განაცხადი N74568/12, 05.01.2016 წ. §155; Makarashvili and others v. Georgia, განაცხადი N23158/20, 31365/20, 32525/20, 01.09.2022 წ. §51.

[16] Pishchalnikov v. Russia, განაცხადი N7025/04, 24.09.2009 წ. §78; Dvorski v. Croatia [GC], განაცხადი N25703/11, 20.10.2015 წ. §101.

[17] Campbell and Fell v. the UK, განაცხადი N7819/77, 7878/77, 28.06.1984 წ. §99.

[18] Iglin v. Ukraine, N39908/05 12.01.2012 წ. §65.

[19] Can v. Austria, განაცხადი N9300/81, 12.07.1984 წ. §54.

[20] Beuzev. Belgium [GC], განაცხადი N71409/10, 09.11.2018 წ. §131.

[21] Ibrahim and others v. the UK [GC], განაცხადი N50541/08, N50571/08, N50573/08 და N40351/09, 13.09.2016 წ. §259; Simeonovi v. Bulgaria [GC], განაცხადი N21980/04, 12.05.2017 წ. §117.

[22] Ibrahim and others v. the UK [GC], განაცხადი N50541/08, N50571/08, N50573/08 და N40351/09, 13.09.2016 წ. §257; Doyle v. Ireland, განაცხადი N51979/17, 23.05.2019 წ. §75.

[23] Ibrahim and others v. the UK [GC], განაცხადი N50541/08, N50571/08, N50573/08 და N40351/09, 13.09.2016 წ. §§264-265; Dimitar Mitev v. Bulgaria, განაცხადი N34779/09, 08.03.2018 წ. §71.

[24] Lanz v. Austria, განაცხადი N24430/94, 31.01.2002 წ. §50; Öcalan v. Turkey [GC], განაცხადი N46221/99, 12.05.2005 წ. §133; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, განაცხადი N11082/06, N13772/05, 25.07.2013 §627.

[25] Sakhnovskiy v. Russia, განაცხადი N21272/03, 02.11.2010 წ. §102.

[26] S. v. Switzerland, N12629/87, განაცხადი N13965/88, 28.11.1991 წ. §48; Brennan v. the UK, განაცხადი N39846/98 16.10.2001 წ. §58; Öcalan v. Turkey [GC], განაცხადი N46221/99, 12.05.2005 წ. §133.

[27] Öcalan v. Turkey, [GC], განაცხადი N46221/99, 12.05.2005 წ. §133.

[28] Rybacki v. Poland, განაცხადი N52479/99, 13.01.2009 წ. §61.

[29] Moroz v. Ukraine, განაცხადი N5187/07, 02.03.2017 წ. §65 და 72.

[30] Piechowicz v. Poland, განაცხადი N20071/07 17.04.2012 წ. §239; Moiseyev v. Russia, განაცხადი N62936/00, 09.10.2008 წ. §210; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, განაცხადი N11082/06, N13772/05, 25.07.2013 წ. §638.

[31] Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, N11082/06, N13772/05, 25.07.2013 წ. §627.

[32] Öcalan v. Turkey [GC], განაცხადი N46221/99, 12.05.2005 წ. §135.

[33] Mikhaylova v. Russia, განაცხადი N46998/08, 19.11.2015 წ. §100 და 102.

[34] გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, მიღებულია დანაშაულის აღმოფხვრისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ გაეროს მე-8 კონგრესის მიერ, 27 აგვისტო – 7 სექტემბერი, 1990 წ. პუნქტ. 1, 8, 13, ქ/პ. „ბ“-„ც“.

[35] ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ, პრინციპი 1 - პუნქტ. 5-6, პრინციპი 4 - პუნქტ. 3, ქ/პ. „ც“, პრინციპი 4 - პუნქტ. 1.

[36] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4, პუნქ. 1, ქვეპ. „გ“.

[37] იქვე, მუხ. 38, პუნქ. 6.

[38] იქვე, მუხ. 38, პუნქ. 7.

[39] იქვე, მუხლ. 4, პუნქტ. 2.

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის N2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე: „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 3.

[41] Delcourt v. Belgium, განაცხადი N2689/65, 17.01.1970 წ. §25; Evrenos önen v. Turkey, განაცხადი N29782/02, 15.02. 2007 წ. §28; Maresti v. Croatia, განაცხადი N55759/07, 25.06.2009 წ. §33; Lalmahomed v. the Netherlands, განაცხადი N26036/08, 22.02.2011 წ. §34 და 36.

[42] Meftah and others v. France [GC], N32911/96, 35237/97, 34595/97, 26.07.2002 წ. §41.

[43] Meftah and others v. France [GC], N32911/96, 35237/97, 34595/97, 26.07.2002 წ. §40.

[44] Lambin v. Russia, განაცხადი N12668/08, 21.11.2017 წ. §§43-48.

[45] Lalmahomed v. the Netherlands, განაცხადი N26036/08, 22.02.2011 წ. §34 და 38.

[46] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მე-7 დამატებითი ოქმი, მუხლ. 2.

[47] Gurepka v. Ukraine, განაცხადი N61406/00, 06.09.2005 წ. §53 და 55; Zaicevs v. Latvia, განაცხადი N65022/01, 31.07.2007 წ. §53; Galstyan v. Armenia, 26986/03, 15.11.2007 წ. §120; Kindlhofer v. Austria, განაცხადი N20962/15, 26.10.2021 წ. §30; Grosam v. the Czech Republic [GC], განაცხადი N19750/13, 01.06. 2023 წ. §§111 და 140.

[48] Engel and others v. the Netherlands, განაცხადი N5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72, 08.06.1976 წ. §§82-83.

[49] Saquetti Iglesias v. Spain, განაცხადი N50514/13, 30.06.2020 წ. §22.

[50] Gurepka v. Ukraine, განაცხადი N61406/00, 06.09.2005 წ. §53 და 55.

[51] Zaicevs v. Latvia, განაცხადი N65022/01, 31.07.2007 წ. §55.

[52] Zaicevs v. Latvia, განაცხადი N65022/01, 31.07.2007 წ. §55; Galstyan v. Armenia, განაცხადი N26986/03, 15.11.2007 წ. §124.

[53] Rostovtsev v. Ukraine, განაცხადი N2728/16, 25.07.2017 წ. §27; Y.B. v. Russia, განაცხადი N71155/17, 20.07. 2021 წ. §40.

[54] Shvydka v. Ukraine, განაცხადი N17888/12, 30.10.2014 წ. §50.

[55] Gurepka v. Ukraine, განაცხადი N61406/00, 06.09.2005 წ. §59.

[56] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 245, ნაწ. 1, ქ/პ. „ბ“.

[57] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 255, ნაწ. 1.

[58] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 255, ნაწ. 2.

[59] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ.255, ნაწ. 3.

[60] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 32, ნაწ.1.

[61] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 268. ნაწ. 1.

[62] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 268, ნაწ. 2.

[63] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^1.

[64] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^2, ნაწ. 1.

[65] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^2, ნაწ. 2.

[66] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^2, ნაწ. 3.

[67] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^2, ნაწ. 4.

[68] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^3, ნაწ. 1.

[69] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^3, ნაწ. 2.

[70] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^3, ნაწ. 3.

[71] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^3, ნაწ. 4.

[72] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^3, ნაწ. 5.

[73] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 268, ნაწ. 2.

[74] Hadjianastassiou v. Greece, [GC], განაცხადი N12945/87, 16.12.1992 წ. §33.

[75] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 281^2, ნაწ. 1.

[76] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში მითითებულია სისხლის სამართლის საქმეებზე მხარეებისთვის დასაბუთებული განაჩენის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით ჩაბარების ფაქტები.

[77] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის ბრძანება N71, მუხლ. 50^1; 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანებები: ბრძანება N108, მუხლ. 53^1; ბრძანება N109, მუხლ. 52^1; ბრძანება N110, მუხლ. 48^1; N111 ბრძანება, მუხლ. 48^1; N112 ბრძანება, მუხლ. 48^1; ბრძანება N116, მუხლ. 53^1; ბრძანება N117, მუხლ. 53^1; ბრძანება N119, მუხლ. 53^1; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებები: 2020 წლის 1 მაისის ბრძანება N526, მუხლ. 52; 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანება, მუხლ. 50; 2023 წლის 8 სექტემბრის N928 ბრძანება, მუხლ. 53.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი